კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ssip თემურ ფიფიას სახელობის ქ. ჯვარის #2 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მე-7, მე-8, მე-9
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ლავრენტი არდაზიანის ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვული“ . შესადარებლად გამოვიყენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა ,,ოთარაანთ ქვრივიდან“ ,,ხუთი ქისა“.
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფ ინედ უს ვე ბგვე რდ ს)	შემოსავალი, გასავალი, ქველმოქმედება

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	ლიტერატურის განხილვისას გამოვიყენეთ: • გონებრივი იერიში მოსწავლეთა წინარე ცოდნის შესამოწმებლად და განწყობის შესაქმნელად. მოსწავლეებმა უპასუხეს ორ შეკითხვას: ა)როგორ გესმით ფინანსური წიგნიერება? ბ) რაში ხარჯავთ ფულს? • მინი ლექცია მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით. • ანალიზის, სინთეზისა და დემონსტრირების მეთოდები ტექსტის წაკითხვა-გააზრების, ლიტერატურული ტექსტის მიხედვით წარმოდგენილი ფინანსური საკითხების ჩამოყალიბებისა და დამუშავებული მასალის პრეზენტაციისთვის.
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	ფინანსური წიგნიერების მიმართულებით ცოდნის გასაღრმავებლად 23 მაისს მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგი. მათ პირველ რიგში უპასუხეს შეკითხვებს: როგორ გესმით, რას ნიშნავს ფინანსური წიგნიერება? რაში ხარჯავთ ფულს? პირველ შეკითხვაზე ძირითადად პასუხობდნენ, რომ ფინანსური წიგნიერება დაეხმარება ადამიანს იმის გააზრებაში, როგორ იშოვოს ფული და შემდეგ როგორ გადაანაწილოს ის. მეორე შეკითხვაზე კი პასუხობდნენ, რომ მშობლების მოცემულ ფულს ძირითადად საკვებისთვის ხარჯავდნენ. გამოთქვეს სურვილი, რომ სიამოვნებით შეასრულებდნენ მოსწავლისთვის შესაფერის ანაზღაურებად სამუშაოს. ახსენეს ამ მიმართულებით თანატოლთა ევროპული გამოცდილებაც. ტრენინგზე მოსწავლეებმა წაიკითხეს ილია ჭავჭავაძის მოთხრობა ,,ოთარაანთ ქვრივიდან“ ,,ხუთი ქისა“. ტექსტის გაცნობის შემდეგ დაევალათ ოთარაანთ ქვრივის ქისები გადაენაწილებინათ სამ გრაფაში: შემოსავლები, გასავლები, ქველმოქმედება. შემოსავლებზე საუბრისას მათ გამოკვეთეს, რომ ქართული ოჯახების ეკონომიკა პურის-ღვინოს წარმოებაზე იდგა. მოსწავლეებმა ოთარაანთ ქვრივის ხუთ ქისასთან დაკავშირებით გაიხსენეს სახარებისეული შეგონებაც: ,,მიეცი კეისარს კეისრისა და ღვთისა - ღმერთსა“. მას გასავალ ხარჯებში არც კეისარი ავიწყდებოდა(იგულისხმება ,,საჯანაბო ქისა“)და არც - ღმერთი (იგულისხმება საქველმოქმედო ქისა ,,შიოს მარანი“). ტრენინგის დასასრულს მოსწავლეებს დაევალათ, წაეკითხათ ლავრენტი არდაზიანის ნაწარმოები ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ . 30 მაისს შედგა წიგნის კლუბის შეხვედრა და გაიმართა დისკუსია წაკითხულ წიგნთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა პარალელები გაავლეს ოთარაანთ ქვრივსა და მეჯღანუაშვილის ქვრივ გაიანეს შორის. მიწა ოთარაანთ ქვრივის სტაბილური ფინანსური ცხოვრების გარანტად მიიჩნიეს. გაიანე კი ბოგანო იყო. ადამიანური ღირსებები კი შეინარჩუნა, მაგრამ ფინანსურ დამოუკიდებლობას ვერ მიაღწია და მაშინ გარდაიცვალა, როცა ლუარსაბ რაინდიძის დედა, ფინანსური საყრდენი, ხელიდან გამოეცალა. მოსწავლეებმა იმსჯელეს სოლომონ ისაკიჩის განვლილ გზაზე. აღნიშნეს, რომ მისთვის ფულის შოვნა თვითმიზანი კი არა, რეალიზების შესაძლებლობის შექმნა უნდა ყოფილიყო. სოლომონმა კი თავისი შვილები განათლების გარეშე დატოვა. ასევე აღინიშნა, რომ ოთარაანთ ქვრივი, მიუხედავად იმისა, არ ჰქონდა არანაირი განათლება, გამოცდილებით ახერხებდა ფინანსურ აზროვნებას. მას ფული იმისთვის სჭირდებოდა, რომ ღირსეულად

	ეცხოვრა. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისთვის კი ფული სულიერი სიცარიელის ამოსავსებ საშუალებად იქცა, თუმცა მან ის ვერც ამისთვის გამოიყენა. გაუნათლებელი მეჯღანუაშვილების ადგილი არსად არ აღმოჩნდა.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი დაეხმარა მოსწავლეებს ისეთი ფინანსური საკითხების გააზრებაში, როგორებიცაა: შემოსავალი, პირადი ფინანსების მართვა, ქველმოქმედება. დისკუსიის დასასრულს გამოვიყენეთ აქტივობა ,,თავისუფალი სკამი“. მოსწავლეები საუბრობდნენ ლიტერატურული ტექსტების მიხედვით გააზრებულ ფინანსურ საკითხებზე. იხსენებდნენ პირად გამოცდილებას. ასევე გამოკვეთდნენ რაში დაეხმარებათ სამომავლოდ ფინანსური ცნობიერების ამაღლება.